სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 57

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (ს/კ 249250484) (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მებონიას** სახით და მეორე მხრივ **შპს „ზუმერი ჯორჯია" (ს/ნ 202462717)** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან გაფრინდაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **CPV კოდი 32250000 – „მობილური ტელეფონები"-ს** სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2299.00 (ორი ათას ორასოთხმოცდახრამეტი *ლარი და 00 თეთრი)* ლარს.**

2.2. შესასყიდი საქონელის ერთეულის ფასი - მობილური ტელეფონი Samsung S911B/DS Galaxy S23 Dual Sim 8GB RAM 256GB 5G - ერთეულის ფასი - 2299.00 ლარი.

2.3. შესასყიდი საქონელის რაოდენობა: 1 ერთეული მობილური ტელეფონი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 1

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 5 მაისამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ან/და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. საგარანტიო პირობები

8.1. მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გადაეცა საგარანტიო ტალონი ,რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

8.2. საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა.

8.3. მიწოდებეულ საქონელზე ვრცელდება გარანტია საგარანტიო ფურცელზე მითითებული ვადით.

8.4. ქარხნული დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრის ვადა 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5.მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს „ზუმერი ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N16	მის: ქ.თბილისი,წერეთლის გამზ.#1
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 202462717
სახელმწიფო ხაზინა	ს/ ს თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა # GE15TB7585636020100003
ტელ: 2376467	ტელ: 591 97 19 62
აპარატის უფროსი	დირექტორი
ზურაბ მებონია	ლევან გაფრინდაშვილი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.04.21 16:29:15 +04'00'

Levan Gaprindashvili 31001014457

Digitally signed by Levan Gaprindashvili
Date: 2023.04.21 16:13:37

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვის N57 ხელშეკრულებაში შპს „ზუმერი ჯორჯია“-ს (ს/ნ 202462717) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს

აპარატის უფროსი ზურაბ მებონია

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.04.21 16:29:47 +04'00'